მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2023 წელი, №7

საქართველოს მუნიციპალიტეტების 2023 წლის ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტი პირველ ხუთეულში გავიდა

ადგილობრივი თვითმმართველობის (LSG) ინდექსის საქართველოს მუნიციპალიტეტების 2023 წლის ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტი პირველ ხუთეულში გავიდა.

LSG ინდექსის შედეგების მიხედვით, ხუთი საუკეთესო მაჩვენებლის მუნიციპალიტეტი გახდა:

LSG ინდექსი წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალიტეტების შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც განსაზღვრული კრიტერიუმებით აფასებს მუნიციპალიტეტში ღიაობისა და გამჭვირვალობის, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების, ელექტრონული მმართველობის, მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს.

მუნიციპალიტეტების შეფასება ორ წელიწადში ერთხელ ხორციელდება. პირველი შეფასება 2017 წელს განხორციელდა, 2023 წელს კი ჩატარდა რიგით მეოთხე ეროვნული შეფასება.

აღსანიშნავია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტი გახდა მოწინავე მუნიციპალიტეტი ინდექსის გაუმჯობესების მაჩვენებელის მიხედვით.

მიღებული შედეგი მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის, (მერიის ადმინისტრაცია და პრეს. სამსახური, საკრებულოს აპარატი, პრეს-ცენტრის განყოფილება) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმატებული თანამშრომლობის შედეგია.

ინდექსის შეფასების ინდიკატორი გახლდათ მუნიციპალიტეტის ვებგვერდი (ასევე გაზეთი ,,ლილე“ და საკრებულოს ფეისბუქ გვერდი), სადაც უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, დროული რეაგირება შემოსულ წერილებზე, სამართლებრივი აქტების, ოქმების, ბიუჯეტის, ახალი ამბების, სხდომების დღის წესრიგის, მნიშვნელოვანი პროექტების, თანამდებობის პირთა ანგარიშის, დაგეგმილი და ჩატარებული ღონისძიებების გამოქვეყნება და სხვა.

მესტიის მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით, სამოქალაქო მოძრაობა „სამეგრელოს ხმის“ მიერ „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის" ფარგლებში, განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის მიზანი გახლდათ „მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა ადგილობრივი თვითმმარrnთველობის სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად“. მნიშვნელოვანია ის ძალისხმევა და რეკომენდაციები, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციის მესვეურებმა არ დაიშურეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2023 წლის შეფასება განხორციელდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, პარტნიორ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

ინდექსის მიზანია საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასებების გზით, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა.

ინფორმაცია LSG ინდექსის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: http://www.lsgindex.org

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია : „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები VIII, მიძღვნილი ისტორიკოს აკაკი კვიციანის მე-100 წლისთავისადმი„

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია : „სვანეთის კულტურული მემკვიდრეობა და გადარჩენის პერსპექტივები VIII, მიძღვნილი ისტორიკოს აკაკი კვიციანის მე-100 წლისთავისადმი“ . (სამეცნიერო ხელმძღვანელი/ორგანიზატორი: პროფ. ზვიად კვიციანი).

კონფერენცია გახსნეს, საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს და კონფერენციის მნიშვნელობასა თუ საჭიროებაზე ისაუბრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და პროფესორმა ზვიად კვიციანმა.

მოწვეულმა სტუმრებმა და კონფერენციის მომხსენებლებმა არაერთგზის ისაუბრეს ისტორიკოს აკაკი კვიციანის მოღვაწეობის, ღვაწლის, მის მიერ განხორციელებული დიადი საქმეებისა და მის მიერ სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარებაში შეტანილი წვლილის შესახებ.

კონფერენციის გახსნისთანავე, სამეცნიერო სესიის დაწყებამდე, გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენება (რეჟისორი: სპარტაკ ფარჯიანი), რომელიც ეძღვნებოდა აკაკი კვიციანის მოღვაწეობასა და განვლილ გზას.

კონფერენციის ორგანიზატორები გახლდნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

საქართველოს საპატრიარქოს, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საინტერესო მოხსენების შემდეგ, მკვლევარმა გოჩა ჭელიძემ სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმს საჩუქრად გადასცა უნიკალური არტეფაქტები, რომელიც შესაბამისი სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების შემდეგ ბატონი გოჩას სახელით ჩაირიცხება სვანეთის მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში. სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი გულითად მადლობა უხდის მას საჩუქრისა და მუზეუმისადმი გამოჩენილი მხარდაჭერისთვის.

კონფერენციის მომხსენებლები (ამავდროულად, თემატიკა) ფართო სპექტრით იყვნენ წარმოდგენილნი, კერძოდ:

1. როზეტა გუჯეჯიანი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)- „აკაკი კვიციანის წვლილი სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში“.

2. .ლია ბითაძე, შ.ლალიაშვილი, დ. ჭითანავა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)-„სვანეთის მოსახლეობის ინტერდისციპლინარული კვლევის ძირითადი შედეგები“.

3.დარეჯან თვალთვაძე- (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)- „ჩვაბიანის ოთხთავი (H-1791 და მესტიის მუზეუმში დაცული მისი ფრაგმენტი სიემ N 491)“ 4. ვახტანგ ლიჩელი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) - „გრაკლიანის ცერემონიალური დარბაზი“.

5. .ცირა ბარამიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) - „უცნობი წერილობითი ძეგლები სვანეთიდან -ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური ასპექტები“

6.ნინო სამსონია,ზვიად კვიციანი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)- „ოქროს მოპოვების და დამუშავების სვანური მეთოდი ლურსმული ტექსტების მიხედვით“

7.ნიაზ ბოლქვაძე-„საქართველო რკინის სამშობლო“. ,,უძველეს კოლხ-იბერიელთა საიდუმლოება.

8.ქეთევან მარგიანი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)-„დალის (კოდორის) ხეობის ჰიდრონიმია“

9.ვახტანგ ჯაფარიძე (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)- „ჩრდილოდასავლეთ კოლხეთის (აფხაზეთის) არქეოლოგიის ახალი მონაცემები(დიოსკურია-სებასტოპოლისის ტოპოგრაფიის საკითხისთვის)“

10.ვაჟა შუბითიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)- „ნიკო ნიკოლაძე -ქართული ევროპეიზაციის მამა“

11.ია ღადუა, ნანი კიკნაძე (ლიტ. მუზ)- „სვანური ფოლკლორის რამდენიმე ნიმუში ვახტანგ კოტეტიშვილის არქივიდან და „სვანური პოეზია“ გალაკტიონის პირადი კოლექციიდან (ლიტერატურის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)“

12.ირაკლი არღვლიანი- (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) - „სვანეთის ტერიტორიის მუდმივი დასახლების, ერთიანი ქართული ფუძე-ენიდან სვანური მეტყველების ფორმირების და სვანურენოვანი ქართველური მოსახლეობის განსახლების საკითხი ბრინჯაოს ხანაში“

13.ჭაბუკა მეტონიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) -„ქართველურ ტომებში ეთნოსის ჩამოყალიბების ზოგადი თავისებურებები“

14.კობა დევდარიანი-(სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი)- „სვანური „ზარის“ შესწავლისათვის“

15.ინგა სანიკიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) - „ორმეფობის მოთხოვნა და „ვეფხისტყაოსანი“ [„მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ...„]

16.გოჩა ჭელიძე- „კავკასიონის, საქართველოს დაკერძოდ სვანეთის მნიშვნელობა მსოფლიო ცივილიზაციის განსაზღვრის საქმეში.“

17.გურგენ გურჩიანი (ფოლკლორული ანსამბლი „შგარიდა„)- „კიდევ ერთხელ „კვირიას“ შესახებ“

ი. წ. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

,,დიდება დედოფალს''

19 სექტემბერს, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში გაიმართა დოკუმენტური ფილმის ,,დიდება დედოფალს“ ჩვენება.

ეს არის ფილმი ოთხი მოჭადრაკე ქალის, საბჭოთა ეპოქის ინტელექტუალური ძალაუფლებისა და ემანსიპაციის სახეების არაორდინალურ წარსულსა და აწმყოზე:

ესენი არიან ქართული და მსოფლიო ჭადრაკის გმირები – ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, მაია ჩიბურდანიძე და ნანა იოსელიანი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ფილმის რეჟისორი თათია სხირტლაძე, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონობის ორგზის პრეტენდენტი ქალ მოჭადრაკეთა შორის ქალბატონი ნანა იოსელიანი და სოციალური საწარმო „ლატლიიშდ“ დამფუძნებელი მადონა წერედიანი.

ფილმის რეჟისორი: თათია სხირტლაძე-ავსტრიაში მოღვაწე ქართველი ვიზუალური არტისტი და მხატვარი.

ფილმის თანარეჟისორი: ანა ხაზარაძე

პროდიუსერები: ანა ხაზარაძე, ნინო ჩიჩუა.

,,დიდება დედოფალს“ საერთაშორისო კინოპროდუქციაა და მასში ქართული საპროდიუსერო კომპანიის 1991 Productions გარდა, ავსტიული კომპანიები berg hammer film და Amour Fou Vienna, და სერბული კომპანია Playground Produkcija მონაწილეობს.

ფილმმა დაფინანსება მოიპოვა საქართველოს ეროვნული კინოცენტრიდან, ავსტრიის

კულტურის სამინისტროდან, ავსტრიული მაუწყებლისგან – ORF და სერბეთის კინო ცენტრიდან.

,,დიდება დედოფალმა“ ასევე გაიმარჯვა Eurimage-ის წარმოების დაფინანსების კონკურსში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ფილმის ქართულ მხარეს შეუერთდა HBO Europe ის დამფუძნებელი და ყოფილი დირექტორი – ლინდა ჯენსენი.

ფილმმა მაყურებლის დიდი მოწონება და მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

საკრებულოს საზედამხედველო საქმიანობის გაუმჯობესება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრების მიერ, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი, საკრებულოს საზედამხედველო საქმიანობისგაუმჯობესების შესახებ.

ტრენინგები ტარდება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - ,,საკრებულოს საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში.

ტრენინგს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები.

ტრენინგის მიზანია საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება და ამ მიზნით საკრებულოს

რეგლამენტში ცვლილებების შეტანა.

ახალგაზრდები ნათელი მომავლისთვის

მესტიის მ.ხერგიანის სახელობის -- მეორე საჯარო სკოლის წარჩინებულმა მოსწავლემ ნინო ხოჯელანმა 14 წლის ასაკში დაისახა მიზნად ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩაბარება.

„მე არ ვიზიარება საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებს, რომ ქალის ადგილი ჯარში არ არის, დიდი პატივია ემსახურო სამშობლოს და სამშობლოსათვის დაღუპული გმირების ხსოვნას''- ამბობს ნინო.

ნინო ხოჯელანმა პირველივე წელს წარმატებით ჩააბარა თავდაცვის აკადემიაში, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ საკითხში მშობლების მხრიდან თანადგომა. გონებრივად და ფიზიკურად ძლიერი გოგოსთვის, მიუხედავად სირთულეებისა,ძნელი არ ყოფილა საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის გავლა .მან წარმატებით გაიარა BGT-ს კურსები, თანამებრძოლ გოგონებთან ერთად.

ჩვენთან საუბრისას ნინო ხოჯელანმა აღნიშნა რომ „აკადემია იუნკერებს სთავაზობს პიროვნული და კარიერული განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს,ეს უფრო მეტად მამოტივირებელი გახდა ჩემთვის, რომ ჩემი მიზნის მისაღწევად ბოლომდე მებრძოლა.

წლების განმავლობაში ვაანალიზებდი იმ გამოწვევებს და სირთულეებს, რომელიც თან ახლავს სამხედრო მოსამსახურის ცხოვრებას, ეს დამეხმარა რომ შემდგომში ფსიქოლოგიურად მომზადებული შევხვედროდი ყველაფერს. პირველი კურსი საკმაოდ წარმატებულად დაიწყო, აკადემიამ ჩემს ყველა მოლოდინს გადააჭარბა, ყოველ მომდევნო დღეს უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ აკადემია არის საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელი. ყოველთვის მქონდა მოლოდინი რომ აკადემია დამეხმარებოდა მიმეღო უმაღლესი განათლება, ახლა ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. იუნკერებს აქვთ ყველანაირი შესაძლებლობა მიიღონ უმაღლესი განათლება. ამ ეტაპზე ჩემთვის პრიორიტეტი არის ჩემი თავის მაქსიმალური განვითარება, რათა შემდგომში ღირსეულად ვემსახურო ჩემს სამშობლოს. სამომავლოდ დასახული მაქვს ახალი მიზნები, რომელთა მისაღწევად ბოლომდე ვიბრძოლებ. დარწმუნებული ვარ ყველა იუნკერი ღირსეულად გავაგრძელებთ დაწყებულ საქმეებს. ჩემთვის დიდი პატივია ვემსახურო სიმართლეს, მომავალ თაობას და სამშობლოს'' აღსანიშნავია, ეროვნული თავდაცვის აკადემიისგან ნინო ხოჯელანის მშობლებისადმი გამოგზავნილი მადლობის წერილიც, რასაც აქვე ფოტოს სახით შემოგთავაზებთ.

გაზეთის „ლილე“ სახელით ვულოცავთ ნინოს, მის ოჯახსა და სკოლას ჩვენი კუთხის ესოდენ საამაყო ახალგაზრდის წარმატებას და ვუსურვებთ მას ყოველივე საუკეთესოს.



ქალბატონ მაიას და ბატონ ვახტანგს,

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და სასწავლო ბატალიონის ხელმძღვანელობის სახელით მადლობას გიხდით ქვეყნისთვის საამაყო და სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული შვილის აღზრდისთვის. რიგითი ნინო ხოჯელანი არის ერთ-ერთი გამორჩეული იუნკერი თავისი აკადემიური მოსწრებით, დისციპლინით, ინტელექტითა და აღზრდით.

როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სასწავლო პროცესი შედგება სხვადასხვა კომპონენტისგან და თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სასწავლო პროცესის განმავლობაში იუნკერები გადიან აკადემიურ და სამხედრო საგნებს, რომელთა დაძლევა და მაღალი აკადემიური მოსწრების უზრუნველყოფა საკმაოდ რთულია, თუმცა ნინომ შეძლო და მიაღწია მაღალ სტანდარტებს: საველე მომზადებაში, დისციპლინაში, ფიზიკურ მომზადებასა და აკადემიურ მოსწრების ყველა მიმართულებაში. მეთაურები და პროფესორ-მასწავლებლები მას ახასიათებენ ნიჭიერ, მიმანდასახულ და შრომისმოყვარე იუნკერად.

გვიამყანა, რომ თქვენმა შვილმა ასეთი აღრეული ასაკიდან გადაწყვიტა ქვეყნის სამსახურში ჩადგომა, რაც თქვენი თანადგომისა და მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

ჩვენთვის დიდი პატივია, რომ გვანდეთ მისი, როგორც მომავალი ოფიცრის აღზრდა. მადლობას გიხდიით გამოცხადებული ნდობისთვის და გისურვებთ ჯანმრთელობას!

პატივისცემით,

ბრიგადის გენერალი მამია ბალასაძე
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი

მაიორი მინდია მოთინიაშვილი

განჯაფას კლუბი

14 სექტემბერს მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის ორგანიზებით ,,განჯაფას კლუბმა“ ტექნოლოგიების სემინარი ჩაატარა, რომელსაც ესწრებოდნენ სკოლის

მოსწავლეები და ახალგაზრდები. დამსწრეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევებს STEAM-ის სამყაროში. გაეცნენ ისეთ საკითხებს როგორიც არის: პროგრამირება, მონაცემთა მეცნიერება, ხელოვნური ინტელექტი, ვირტუალური რეალობა, რობოტიკა და სხვა ტექნოლოგიური დარგები. მიიღეს საინტერესო გამოწვევებში მონაწილეობა და გაატარეს ძალიან საინტერესო და სახალისო დრო.

შეხვედრამ აქტიური კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა და ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლე-ახალგაზრდებში.

პროექტი განხორციელდა ნოვაციების და ტექნოლოგიების საგენტოს ინიციატივით, კომპანია ქლევერტონის მიერ.

აწარმოე საქართველოში

2023 წლის 28 ნოემბერს ზემო სვანეთის განვითარებისა და რეფორმების მხარდაჭერის ცენტრის ორგანიზებით სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურმა საკონსულტაციო ცენტრმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა მესტიის მუნიციპალიტეტის მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებთან.

საკონსულტაციო ცენტრის კონცეფცია ბრიტანულ Growth Hub-ის მოდელს ეფუძნება და მიზნად ისახავს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერას, მათ ინფორმაციით უზრუნველყოფას, მათთვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებას და ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზებას.

ცენტრში მეწარმე შეძლებს გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაცია ცენტრის თანამშრომელთან და სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების შესახებ. მეწარმეს ასევე შეეძლება სიღრმისეული ბიზნეს-დიაგნოსტიკის გავლა, რაც დაეხმარება უკეთ გაიგოს საკუთარი ბიზნესის საჭიროებები, რომ სწორად დაგეგმოს ბიზნესის მომავალი.

დიაგნოსტიკით გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, მეწარმეს შეეძლება ისარგებლოს ცენტრში შეთავაზებული საკონსულტაციო მომსახურებით ან დაესწროს შესაბამის ტრენინგს/სემინარს, რაც ხელს შეუწყობს მის სამეწარმეო საქმიანობას.

ცენტრის წევრ მეწარმეებს შეეძლებათ დაამყარონ კონტაქტები თავიანთი სექტორის ან ღირებულებათა ჯაჭვის სხვა წარმომადგენლებთან, თავისუფლად ისარგებლონ ცენტრებში განთავსებული საერთო სამუშაო სივრცით, და/ან დაესწრონ ცენტრში დაგეგმილ სხვადასხვა ინფორმაციულ თუ საგანმანათლებლო ღონისძიებას.

ქ. ზუგდიდში სამეგრელო-ზემო სვანეთის საკონსულტაციო ცენტრმა ოპერირება 2023 წლის ივნისიდან დაიწყო. მისამართი: ქალაქი ზუგდიდი, სპირიდონ კედიას ქუჩა, N1.

სვანეთი ჩოგოჩუ ბრენდი

ევროკავშირის, შვედეთისა და ავსტრიის მხარდაჭერით, სვანეთის რეგიონის ვიზუალურ და სტრატეგიულ ბრენდინგზე მუშაობა წარმატებით დასრულდა.

საოცრად საინტერესო, ხანგრძლივი და დატვირთული 2 წლიანი სამუშაო პროცესის შედეგად, სვანეთი როგორც ბრენდი, სრულ მზადყოფნაშია მყარი პოზიციონირება დაიკავოს ტურიზმის მსოფლიო რუკაზე და დახვეწილი კონცეფციით განაცხადოს, რომსვანეთი არის საქართველოს მთის დამალული საგანძური.

ზღაპრული გარემო, ოთხი სეზონის განსხვავებული შთაბეჭდილებები, მდიდარი კულტურა, მკვეთრად გამოკვეთილი მისტიური გარემო, კულინარიის ხელოვნება და დღემდე შემორჩენილი უძველესი ტრადიციები, რეგიონს საოცრად დიდიდიაპაზონის ტურისტულ პოტენციალს უქმნის.

სვანეთის სტრატეგიული და ვიზუალური ბრენდის პროექტიც სწორედიმისთვის იყო განკუთვნილი, რომ დედამიწის ამ საოცარი კუთხეში მოხვედრის მოლოდინი სწორი ფორმულირებით შექმნილიყო.

რეგიონის ბრენდის სწორი გამოხატულება ტურისტული პოტენციალის ათვისების წინაპირობაა, რომელიც გრძელვადიანი მიზნით, სვანეთის მოსახლეობის ეკონომიკურად

მდგრადი გაძლიერების მიზანს ემსახურება.

„თვითონ ეს ბრენდი, ახლო პერსპექტივით სვანეთის მოსახლეობას საშუალებას მისცემს მინიმუმ 1,5-ჯერ გაზარდონ მათი საქმიანობა.

თითქოს ელოდებოდა სვანეთი ამ ბრენდს, ამ ლოგოს, თანაც დიდი ხნის განმავლობაში“, – ამბობს მესტიის მერი კაპიტონ ჟორჟოლიანი.

სვანეთის ბრენდინგის პროექტზე მუშაობა, ევროკავშირის, შვედეთის და ავსტრიის მხარდაჭერით, პროექტ GRETA-ს ფარგლებში, ადგილობრივმა საკონსულტაციო სააგენტომ WATERGUNZ-მა პარტნიორ ფინურ კომპანია WERKLING თან ერთად 2 წლის უკან დაიწყო. პროცესის მართვის მთავარი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ამ მნიშვნელოვან პროექტზე თავმოყრილიყო ერთის მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული ექსპერტების ცოდნა და გამოცდილება, და მეორეს მხრივ, ადგილობრივი ექსპერტების, სვანეთის DMO-ს და რეგიონის მოსახლეობის სრული ჩართულობა, რომელიც ბრენდს ყველა კრიტერიუმით სრულყოფილს გახდიდა.

WERKLING ეს არის ბრენდინგის სფეროში საერთაშორისო დონის წარმატებული და გამოცდილი ფინური კომპანია, რომელსაც ეკუთვნის ჰელსინკის ბრენდინგის პროექტი.

სვანეთის ბრენდინგზე მუშაობის პირველი ეტაპი დონორების მხარდაჭერით, ინტენსიური კვლევითი პროცესით დაიწყო, რომლის ფარგლებშიც ქართული და ფინური სააგენტოების წარმომადგენლებმა სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები გამართეს ადგილობრივებთან და ყველა დაინტერესებულ მხარეებთან. საფუძვლიანად შეიმეცნეს სვანური კულტურისთვის დამახასიათებელ თავისებურებები და ადგილობრივების ხედვა ყველა მნიშვნელოვან საკითზე. ასევე, შეისწავლეს უძველესი სვანური მითები და ზეპირსიტყვიერად, ლეგენდების თუ მითების მეშვეობით გადმოცემული ამბებიც.

მესტიის მერი, კაპიტონ ჟორჟოლიანი ბრენდის ვიზუალური გამოხატულების კომპონენტზე მუშაობის პერიოდის ეპიზოდს ასე

იხსენებს:

„ – სააგენტოების წარმომადგენლებმა, კვლევის დროს, ერთ-ერთი შეკითხვა დამისვეს, როგორ წარმოგიდგენია სვანეთის ფერებიო? ჩემი პასუხი იყო რომ სვანეთი ერთ ფერში ვერ წარმომიდგენია, მისი გამოხატულება შეძლება იყოს შავ – თეთრიც, მაგრამ ამას უფრო დიდი სიღრმეებიც აქვს, ის სხვადასხვა ფერში უნდა იყოს, რადგან მრავალფეროვანია სვანეთის ბუნება,ასეთია მისი მდიდარი და ღრმა ხასიათი.“

ხანგრძლივი კვლევის და წინასწარი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, პროექტზე მომუშავე ჯგუფმა შექმნა საკმაოდ საინტერესო ვიზუალური გამოხატულება, რომელიც კომპლექსურად მოიცავდა მნიშვნელოვან მიგნებებს. ბრენდის კონცეფცია, ფერების კუთხით სვანეთის ოთხივე სეზონის ფერს აერთიანებს. ამავდროულად ბრენდინგის ვიზუალურ ნაწილში,გამოყენებულია ფერების პალიტრა და ფაქტურა, სვანეთში დაცული უძველესი ადიშის ოთხთავიდან, რომელიც მესტიის მუზეუმში ინახება. ვიზუალში, ასევე გათვალისწინებულია სვანეთის მდიდარი ბუნების ელემენტები, სვანური არქიტექტურის სიმბოლო კოშკი და ამომავალი მზე, სვანური მითების მთავარი მოქმედი ფიგურა, იგივე ქართული ბორჯღალო, რომელიც ლოგოს კონტექსტში საკუთარი პიროვნების აღმოჩენასთან და ჰარმონიასთან არის დაკავშირებული.

ბრენდის ვიზუალურ გამოხატულებას, ბრენდის შინაარსული სტრატეგია უდევს საფუძვლად, რაზეც გვიამბობს ბაჩო მებურიშვილი, სააგენტო WATERGUNZ-ის დამფუძნებელი.

„ბრენდის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი

არის ის, რომ თავად სვანი ხალხი არის სვანეთში დაგროვილი ყველა ცოდნის თავის თავში გამტარი. თითქოს ისინი არიან ამ ცოდნის იდეური მცველები, რომლებიც თავის თავში ატარებენ ამ ყველაფერს და შენ თუ არ დაიმსახურე მათი ნდობა, თუ მათი ღირებულებები არ გაიზიარე, ამ ცოდნას ბოლომდე ვერ გაიგებ.

ამ ბრენდის შეგრძნების და ნახვის შემდეგ, ყველას ეცოდინება, რომ სადღაც მსოფლიოში არის ადგილი, სადაც შეგიძლია ჩახვიდე და ისევ ამ ნამდვილი, ავთენტური შეგრძნებებით აივსო და ისე გააგრძელო ცხოვრება.“

პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო სააგენტომ WATERGUNZ-მა პარტნიორებთან ერთად, ასევე, იმუშავა სვანეთის კორპორატიულ სტილზე და მათ შორის ემოციური გამოხატულების რუკაზეც, რომელიც სვანეთთან დაკავშირებულ ძირითად ტრადიციებს, ლანდშაფტის თავისებურებას და ლეგენდებში არსებულ პერსონაჟებს აერთიანებს. ემოციური რუკის დახმარებით, ნებისმიერი მნახველისთვის კიდევ უფრო მარტივდება სვანეთის კულტურული თავისებურებების შემეცნება.

ბრენდიგზე მომუშავე სააგენტოების წარმომადგენლებიც და ექსპერტებიც დარწმუნებულები არიან რომ სვანეთის ვიზუალურ და სტრატეგიულ ბრენდინგს, უდიდესი პოტენციალი აქვს. მისი დახმარებით კი ადგილობრივი მეწარმეები და მცირე ბიზნესის მფლობელები, მარტივად შეძლებენ საკუთარი საქმე, კიდევ უფრო საინტერესო და ხელმისაწვდომი გახადონ, სვანეთის ქართველი და ასევე უცხოელი სტუმრებისთვისაც.

როგორც BRANDING.GE-ს მმართველი პარტნიორი, ლევან კობერიძე ამბობს:

„სვანეთს აქვს ის პოტენციალი, რომ ძალიან მოკლე დროში აჩვენოს რა შეუძლია რეგიონის ბრენდინგს, ეს არის ძალიან კომპლექსური მიდგომა ყველა იმ საკითხის მიმართ, რაც სვანეთმა უნდა გამოიყენოს განვითარებისათვის, ეკონომიკურიზრდისათვის, მეტი ტურისტისა და მეტი ინვესტორის მოზიდვისათვის. ამას გულისხმობს სწორედ სვანეთის ბრენდინგი დაამიტომ არის სწორი ეს ძალიან მიზანმიმართული მხარდაჭერა, ევროკავშირის შვედეთისა და ავსტრიის მხრიდან.

დარწმუნებული ვარ სვანეთის მოსახლეობა, ძალიან მალე იგრძნობს კონკრეტულ შედეგებს რომელიც უნდა აისახოს კონკრეტულ კეთილდღეობაზე“

გარდა ეკონომიკური სარგებელისა, რომელიც რეგიონს შეუძლია ბრენდინგის დახმარებით მიიღოს, სვანეთის ვიზუალური და სტრატეგიული ბრენდინგი თავის მხრივ ქართველ და უცხოელ ტურისტებს დაეხმარება, სრულად აღიქვან სვანეთის ის ემოციური და შინაარსობრივი პოტენციალი რაც მას გააჩნია.

დღეისათვის ევროკავშირის, ავსტრიისა და შვედეთის დახმარებით განხორციელებული პროექტის შედეგად მიღებულ სვანეთის ბრენდი, უკვე გადაეცა სვანეთის DMO-ს. სწორედ სვანეთის DMO-ს კოორდინაციით, სვანეთის ბრენდის სტრატეგიული კონცეფცია და ვიზუალური გამოხატულება უკვე აქტიურად გამოიყენება.

პროექტი GRETA | „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“ ევროკავშირის, ავსტრიისა და შვედეთის მხარდაჭერით, საქართველოში ავსტრიის განვითარების სააგენტო ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავსბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობას და დამატებითი შემოსავლის შექმნის შესაძლებლობის გაზრდას საქართველოს ეკონომიკის ორ ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორიცაა სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა. დამატებითი ინფორმაცია პროექტ GRETA-ს შესახებ: WWW.GRETAPROJECT.GE

სკვერის გაძღვანების ღონისძიება

მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობის ორგანიზებით, თამარ მეფის ქუჩა N19-ში მდებარე სკვერში დარგვა-გამწვანების ღონისძიება ჩატარდა.

გამწვანების ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება მოხალისეობრივ ჯგუფებსაც შეეძლოთ. შესაბამისად, გიმნაზიამაც გადაწყვიტა მისი წვლილი შეეტანა სათემო საქმეში და ბუნების მასწავლებელმა, ნესტან ბერიანმა და მეცხრე კლასის დამრიგებელმა, ქართულის მასწავლებელმა თაკო საჯაიამ, გიმნაზიის მერვე-მეცხრე კლასები ჩართეს აღნიშნულ აქციაში. დაირგო დეკორატიული, იშვიათი ჯიშის ნერგები. მოსწავლეებმა ხალისით შეასრულეს სამუშაო, მსგავსი აქტივობები ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო ცხოვრებაში, ის ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას, პასუხისმგებლობა-მოვალეობის გრძნობის გაღვივებას, თემის განვითარებაში წვლილის შეტანა ხომ თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა!

ყოველი დარგული ნერგის შემდეგ მოსწავლეების შეძახილი: "გაიხარე და გაგვახარე" - გულს უხარებდა გარშემომყოფებს.

მადლობა კომპანია "ევკალიპტუსს", მუნიციპალიტეტის მერიას, გიმნაზიის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს!

წმ. ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია

„ქალები, მშვიდობა, უსაფრთხოება“

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების გადაუდებელი საჭიროებების მოგვარების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტში სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრა „ერთი ფანჯრის პრინციპის“ მეთოდოლოგიით ჩატარდა. აღნიშნული მეთოდი ყველა დაინტერესებული მხარისა და გადაწყვეტილების მიმღები უწყების ან დაპირის კოორდინირებულ მუშაობას გულისხმობს. ამასთან, უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით, სოციალური, უფლებრივი და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების სწრაფ გადაჭრას ემსახურება.

სამუშაო შეხვედრას, ექსპერტი გენდერის საკითხებში, მამუკა გაჩეჩილაძე უძღვებოდა. მან პროექტის „ქალები, მშვიდობა, უსაფრთხოება“ უსაფრთხოების მიმართულების კოორდინატორთან, ანა ნემსაძესთან და „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ გამგეობის თამჯდომარე, ელენე რუსეკაიასთან ერთად, განიხილა წინასწარ მოძიებული, გადამოწმებული და დოკუმენტირებული მონაცემები, რომლებიც სოფელ იდლიანისა და ჭუბერის მკვიდრთა გადაუდებელ საჭიროებებს ასახავს.

სამუშაო შეხვედრა ინტერაქციულ ფორმატში ჩატარდა. თემატური მასალების პრეზენტაციის შემდეგ, საკითხების განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და პრობლემების წარდგენაში, თავად სოფელ იდლიანისა და ჭუბერის მკვიდრი, ადგილობრივი ლიდერი ქალები მონაწილეობდნენ.

პროექტი: „ქალები, მშვიდობა, უსაფრთხოება“ აღიარებს ქალების საკვანძო როლს თავიანთი თემების პრობლემების ადვოკატირების პროცესში. შესაბამისად, მათი აქტიური ჩართულობა მიზნად ისახავს კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და აზალგაზრდების ხმის გაძლიერებას და მათი როლის ზრდის ხელშეწყობას მშვიდობის მშენებლობის პროცესებში.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,მაიზერ ჯაფარიძის თქმით, მუნიციპალიტეტი მზადაა განიხილოს იდენტიფიცირებული საჭიროებები და მაქსიმალურად ეცდება მათ დაკმაყოფილებას არსებული რესურსების და გადაწყვეტილების მიმღები პირების ჩართულობით.

შეხვედრაზე, სამუშაო ჯგუფის წევრებმა დამსწრეებთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. ცნობისთვის, იმ საჭიროებათა ადვოკატირების კამპანია, რომელთა მოგვარების გზებიც აღნიშნულ შეხვედრაზე ვერ გამოიკვეთა, გაგრძელდება ზემდგომი უწყებების ჩართულობით.

შეხვედრა კოალიციური პროექტის „ქალები და ახალგაზრდები, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე განხორციელებისთვის“ ფარგლებში ჩატარდა. პროექტს "ქალთა საინფორმაციო ცენტრი", ფონდი "სოხუმი" და ასოციაცია "თანხმობა" გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ახორციელებენ.

სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ტურიზმის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა (5 წლის პერსპექტივა) წარმოადგენს სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭირო თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული ქმედებების „გზამკვლევს“. სამოქმედო გეგმაში ასახულია ცალკეული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად საჭირო ქმედებების ჩამონათვალი, აქტივობის მოკლე განმარტება, განმახორციელებელი და მხარდამჭერი სუბიექტები, დროის პერიოდი და სავარაუდო ბიუჯეტი. სტარტეგიული ხედვა ეფუძნება ურთიერთგაზიარებულ ღირებულებებსა და საერთაშორისო ტენდენციებს, ხედვის რეალიზაციისათვის წარმოდგენილია 5 სტრატეგიული მიზანი, ხოლო ცალკეული მიზნის მისაღწევად შემოთავაზებულია 45-მდე კონკრეტული პრიორიტეტული ქმედება და 122 ცალკეული აქტივობა. ასევე შემოთავაზებულია საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით მონიტორინგისთვის საჭირო ინდიკატორები. ამ პროცესში სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობას სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებს შორის. სხვადასხვა კონკრეტული ქმედების განხორციელება მოითხოვს საჯარო, კერძო, სათემო, სამეცნიერო თუ კვლევითი ორგანიზაციების ერთობლივ ძალისხმევას, რისთვისაც აუცილებელი სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატის შემუშავება და რესურსების (ადამიანური, ფინანსური, ადმინისტრაციული) ოპტიმალური გამოყენება.

სვანეთის DMO „შანლენდი“ უნდა გახდეს მსგავსი თანამშრომლობის კატალიზატორი და უზრუნველყოს სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების ინიცირება, ზოგიერთ შემთხვევაში კი უშუალოდ განხორციელება. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული მნიშვნელობის პროექტების შესახებ ინფორმირება (მაგალითად როდესაც საკითხი ეხება ინფრასტრუქტურასა და საჯარო სერვისებთან წვდომას) და დონორ ორგანიზაციებთან მუდმივი საქმიანი კავშირის შენარჩუნება, რათა პროგრამული ამოცანები მაქსიმალურად ეფექტურად იქნას გამოყენებული.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა მიმდინარეობს

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა მიმდინარეობს. მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი, განსახილველად საკრებულოში, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შემოვიდა. მერის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე: mestia.gov.ge მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://mestia.gov.ge/ge/node/1601/ საკრებულოს კომისიებში ბიუჯეტის განხილვის გრაფიკი შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://mestia.gov.ge/…/sakrebulos-komisiebis-gaertianebuli…

შეგახსენებთ, რომ ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს და განხილვებზე დასწრება თავისუფალია.

ბიუჯეტის განხილვის პროცედურა და ვადები: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, მერის მიერ წარმოდგენილ პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს რეგისტრაციაში ატარებს და წარდგენიდან 5 დღის ვადაში საჯარო განხილვისთვის აქვეყნებს საკრებულოს აპარატი. რეგისტრაციის შემდეგ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტის პროექტი წინასწარი განხილვისათვის გადაეცემა საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა, საკრებულოს სხვა კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს წევრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, იურიდიული პირების, მოქალაქეების წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე არა უგვიანეს 25 ნოემბრისა ბარდება საკრებულოს აპარატს. საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს შემოსული შენიშვნების, დასკვნებისა და წინადადებების რეგისტრაციას, სისტემატიზაციას და არა უგვიანეს 25 ნოემბრისა გადასცემს საკრებულოს თავმჯდომარეს. ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმული შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო არა უგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს გამოთქმული ყველა შენიშვნით უბრუნებს მერს. მერი ვალდებულია მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის, საკრებულოს ფრაქციების წარმომადგენლებთან და შენიშვნის ავტორებთან ერთად განიხილოს ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმული შენიშვნები და ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებული ვარიანტი შენიშვნებზე დასკვნასთან ერთად (რომელშიც აღინიშნება თითოეული შენიშვნა და ამ შენიშვნის მიღების ან უარყოფის დასაბუთება) არა უგვიანეს 10 დეკემბრისა წარუდგინოს საკრებულოს. ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებზე მერის დასკვნას და ბიუჯეტის შესწორებულ ვარიანტს (შესწორების შემთხვევაში) რეგლამენტით დადგენილი წესით აქვეყნებს საკრებულოს აპარატი. შენიშვნები და წინადადებები, რომელიც წარდგენილი იქნება საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, არ იქნება გათვალისწინებული. მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს საკრებულო მომავალი წლის დაწყებამდე დაამტკიცებს.





დამფუძნებელი:
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი,
ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა
შპს. „გამომცემლობა კოლორში“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45
ირმა ჯაჭვლიანი
ელ. ფოსტა:
irmajachvliani1968@gmail.com